

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ლაილაშის თემის მაჟორიტარი დეპუტატის მამუკა ჩაჩხიანის 2019 წელს გაწეული სამუშაოს

#### ანგარიში

2019 წელს ლაილაშის თემში მრავალი პროექტი განხორციელდა და ხორციელდება. სოფლის პროგრამით სოფელ თაბორში და სოფელ სურმუშში შეკეთდა და მოიხრემა საავტომობილო გზა, გაკეთდა წყალდამწრეტი ცხაურები, სოფელ ლაილაშის ცენტრში გაკეთდა 100 მეტრი სიგრძის ცხაური. სოფელში მდებარე სარიტუალო დარბაზში მოხდა წყლის შეყვანა და კანალიზაციის მონტაჟი. გაიწმინდა და შეკეთდა სოფელ ღულუნეთის გზა.

ინფრასტრუქტური სამინისტროს და მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით განხორციელდა ჭილეში-ლაილაში-თაბორი, 8 კმ-იანი ბეტონის საფარიანი საავტომობილო გზის და ლაილაშის საჯარო სკოლის ახალი შენობის პროექტირების სამუშაოები. (მშენებლობა განხორციელდება 2020 წელს). სოფელ სურმუშში სრულდება სპორტული მოედნის მშენებლობა, მოიხრემა სოფელ ლაილაშის სასაფლაოსთან მისასვლელი გზა.